

# ახალი აღქმა

რუბრიკის სტუმარი

## ვიორჯი ქადაგიძე



# 17 წლის რეჟისორის ნარეკაბული დაბიუტი

### გიორგი ქადაგიძე: „მინდა, ადამიანებში ის გრძნობები თუ ემოციები გავაღვივო, რასაც ყველაზე მეტად გაურბიან“

„კონკრეტულად ერთ სამყაროზე აქცენტის გაკეთების ნაცვლად, მინდოდა, ბევრი სამყარო შექმენა. მსურდა დამენახებინა სხვა ადამიანის ტკივილი, ფიქრი. რაღაც სიღრმეებში ჩამეყვანა, ჩემებურად ამ ყველაფერზე დავეფიქრებინა (ყოველგვარი მითითებების გარეშე) და შემდეგ უკან დამებრუნებინა რეალობაში“, — ასე აღწერს თავის პირველ სარეჟისორო გამოცდილებას 17 წლის გიორგი ქადაგიძე, რომელმაც ფილმი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაზე გადაიღო და „სიმართლის სიმფონია“ დაარქვა. ფინანსების არარსებობის მიუხედავად, ფილმში მონაწილეობას იღებენ ისეთი გამოცდილი მსახიობები, როგორებიც არიან ზაზა კოლელიშვილი და ზურა ყიფშიძე, მუსიკაზე კი ნიკოლოზ რაჭველი იზრუნა. „სიკეთის სადარაჯოზე, სულიერების, სიყვარულისა და იმედის შექმნა გოგო დგას. სიკეთისთვის ბრძოლაში ის მარტოა და პირველი ტალღაც მარტომ უნდა გაიაროს, ბოროტების პირისპირ უმძიმეს სამსჯავროზე წარსდგეს. მისი ერთადერთი სიყვარული საკუთარი გზის გაგრძელებას ბოროტებაზე დიდი სიკეთის დახმარებით ახერხებს. ამ მოკლემეტრაჟიან ფილმში სიკეთისა და ბოროტების ჭიდილია გადმოცემული, ბოროტების სულიერი კათარზისი, აღიარებისა და შენდობის გზა“, — ასეთია ფილმის მოკლე შინაარსი. „სიმართლის სიმფონიის“ დებიუტი ტელევიზიაში 8 მაისს შედგა, მოგვიანებით კი, მისი ჩვენება ნიუ-იორკის კინოფესტივალზეც გაიმართება. „ახალგაზრდა რეჟისორი, რომელსაც მალე მთელი მსოფლიო გაიცნობს“, — ამგვარი სათაურით გააშუქეს მედია საშუალებებმა პირველი ნამუშევარი, რომელსაც კრიტიკულთან ერთად უამრავი დადებითი შეფასებაც მოჰყვა. გთავაზობთ ინტერვიუს 17 წლის რეჟისორ ბიორბი ძაღაბიძისთან, რომელიც უკვე მეორე ფილმზე მუშაობს.

— რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ჯანსაღი კრიტიკა მივიღე, რომელსაც აუცილებლად გავითვალისწინებ. მიმართა, რომ ადამიანი თავად უნდა მიხედვს, რა გააკეთა არასწორად, წინააღმდეგ შემთხვევაში კრიტიკას აზრი არ აქვს. ჩემთვის კომპეტენტური ადამიანებისგან მივიღე ისეთი შენიშვნები, რომელთა სისწორესაც ვერ კიდევ ფილმის გადაღების პროცესში ვგრძნობდი. ხედავ, რომელიც ამ ფილმში მინდოდა ჩამეჭსოვა, მართალია გამოვივიდა, მაგრამ მიხვდი, რომ აღარ მინდა ამ პოეტურ ჟანრში მუშაობის გაგრძელება. მიჩიქვს კიდევ, რომ ამ ჟანრს გავცდნოდი და სხვაგანაც მეცადა ძაღები. ამჟამად სწორედ ამ რჩევის გათვალისწინებით სხვა ჟანრის ფილმზე ვმუშაობ, თუმცა მისტიკა და დრამა აქაც არის.

— როდის ვიხილავთ შენს მეორე ფილმს ეკრანებზე?  
— ფილმზე მუშაობა უკვე დაწყებულია, სცენარი დასრულებულია, გუნდიც შეკრული და ამჟამად პროდიუსერულ საკითხებზე, თანხის მოძიებაზე ვმუშაობთ, რაც ალბათ თვის ბოლოს დასრულდება. ზაფხულში გადაღებები დაიწყება და იანვრისთვის ფილმის ნახვა უკვე ყველასთვის შესაძლებელი იქნება.

— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვი, რომ ფილმში ყველა სხვა-მალა არ საუბრობს. ზოგადად ე.წ. ტაბუირებული თემები რამდენად მნიშვნელოვანია შენი ცნობისმოყვარეობისთვის და რა მიგაჩნია დღეს შენ გარშემო ასეთ საკითხად, რომელზე მუშაობაც შენთვის საინტერესო იქნებოდა?  
— კარგი კითხვაა, უნდა დავფიქრდე (იცინის).

**ბევრისთვის გაპაპავებული თემები საბოლოოდ სწორედ ტაბუირებული აღმოჩნდება ხოლმე, ამიტომ მინდა, ადამიანებში ის გრძნობები თუ ემოციები გავაღვივო, რასაც ყველაზე მეტად გაურბიან. მაგალითად, ჩემი მეორე ფილმი ოცნებისთვის ბრძოლაზეა — იმ წინააღმდეგობებზე, რომლებიც ადამიანებს ამ გზაზე ხვდებათ. არ ვთვლი, რომ არსებობს რაღაც ისეთი, რისი გამოსწორებაც შეუძლებელია. უბრალოდ მინდა ჩემი წვლილი შევიტანო და ადამიანებს გაეუმარტივო იმის აღქმა, რასაც ყოველდღიურად ვხედავთ, მაგრამ გააზრება გვიჭირს. ჩემი შემოქმედების მთავარი იდეაც ალბათ სწორედ ეს არის — შეუძლებელი არაფერია.**



— მიმართა, რომ რეჟისურას ვერავინ გასწავლის და ეს ისეთი რამაა, რაც პრაქტიკაში უნდა გაითავისო. იქ სწავლა სწორედ ამ მხრივ იქნება ნაყოფიერი, რომ მომცემს საჭირო პრაქტიკას, რა თქმა უნდა, თეორიულ ცოდნასთან ერთად. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რასაც ამერიკულ კინო სკოლებში ასწავლიან არის ის, თუ როგორ შექმნა ერთდროულად ღირებული და მომგებიანი კინო. ამგვარი მუშაულის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი და რთულიცაა, ამიტომ სწორედ ამ მიზნის მიღწევას შევეცდები სამომავლოდ.

— ალბათ თანამედროვე ქართულ კინოს ასე თუ ისე თვალს ადევნებ. როგორ ფიქრობ, ხარისხის, შინაარსისა თუ სცენარის თვალსაზრისით, რა სახის ცვლილებები, სიახლეებია საჭირო, რათა საქართველოში ეს სფერო უფრო გამოცოცხლდეს?  
— რთული კითხვაა. ამ სფეროში დღეს ცოტათი დაკარგულები ვართ საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით, თუმცა გვაქვს უმაღლესი დონისა და სტანდარტების რამდენიმე თანამედროვე ფილმიც, რომლებმაც ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მიმართა, რომ „შუა თაობის“ ქართველი რეჟისორები ძალიან კარგ ფილმებს იღებენ.

— რა მოლოდინი გაქვს ნიუ-იორკის კინოფესტივალზე და შენი აზრით, როგორ შეაფასებენ უცხოელი მაყურებლები თუ კრიტიკოსები შენს პირველ ფილმს?  
— ვიმედოვნებ, ზედმეტად კრიტიკულები არ იქნებიან, თუმცა დიდი მოლოდინიც არ მაქვს, რადგან იანვარში, როცა ფესტივალი ჩატარდება, მეორე ფილმის გადაღება უკვე დასრულებული მექნება და შესაბამისად, მთელი ყურადღებით მასზე ვიქნები კონცენტრირებული.

— როგორც ყველა რეჟისორს, სცენარის შექმნისას კონკრეტული მიზანი და წარმოდგენები იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მაყურებელზე უნდა მოგვედინა, ალბათ შენც გქონდა. ახლა, როცა ფილმის პრემიერა შედგა და მიიღე შეფასებებიც, მიგაჩნია თუ არა, რომ მიზანს მიაღწიე და ფილმმა ისეთი ეფექტი მოახდინა, როგორსაც ელოდი?  
— მიმართა, რომ მივალწიე იმას, რაც მინდოდა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ წერის პროცესში ძალიან ბევრი ემოცია „გამოვიარე“, ამიტომ ცოტა არ იყოს, მეც დაბნეული ვიყავი და ზუსტად არ ვიცოდი, მაყურებლისთვის რისი მიწოდება მინდოდა. საბოლოოდ, სცენარის ბოლოს ჩამოყალიბებული იდეა, ჩემი აზრით, მაყურებელამდე მივიდა.

პირადად მე, რამდენჯერაც ვუყურე ამ ფილმს, იმდენჯერ სხვადასხვანაირი ემოცია დამეუფლა, რასაც ვერ გხსნი. არაერთხელ ისეთი შთაბეჭდილებაც კი დამრჩა, თითქოს ჩემი დანერგული არ იყო, თუმცა მთავარი იდეა, მგონი, წარმატებით გადმოვიცე.

— უამრავი დადებითი შეფასება მიიღე ფილმთან დაკავშირებით. საფუძვლიანი კრიტიკაც თუ დაგამახსოვრდა ვინმესგან, რომელსაც თვლი, რომ შემდეგში აუცილებლად გაითვალისწინებ?  
—



— გადაღების პროცესში რა აღმოჩნდა შენთვის ყველაზე რთული, როგორც დამწყები რეჟისორისთვის?  
— გადაღების პირველივე დღეს, როდესაც მსახიობებთან ურთიერთობის არანაირი გამოცდილება არ მქონდა, მუშაობა მომიწია ზურა ყიფშიძესთან. ძალიან ვენერებულვდი, მაგრამ სულ 14 დღე გაგრძელდა გადაღებები და ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე, ამიტომ ამ ფილმს პირველ რიგში ერთგვარ გავარჯიშებდად განვიხილავ, არანაირი გადამეტებული წარმოდგენები არ მაქვს მასთან დაკავშირებით. ძალიან დიდი გამოცდილება მომცა იმისთვის, რომ მოვსულიყავი აქამდე, ანუ დამეყვო მუშაობა მეორე ფილმზე.

— როგორც ვიცი, სწავლის გაგრძელებას ერთ-ერთ ამერიკულ კინოსკოლაში გეგმავ. რა სახის ცოდნა, ტექნიკა თუ გამოცდილება გჭირდება ამ სფეროში ყველაზე მეტად?  
—

## პარლამენტი

### სახალხო დამცველმა პარლამენტს 2016 წლის ანგარიში წარუდგინა

პარლამენტმა საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში მოისმინა. უჩა ნანუაშვილის თქმით, ეს დოკუმენტი ადამიანის უფლებათა ფართო სექტორს მიმოიხილავს. მასში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ დადებით და უარყოფით ტენდენციებზე, ამასთან, თავმოყრილია სახალხო დამცველის მიერ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მისამართით შემუშავებული რეკომენდაციები. სახალხო დამცველის განცხადებით, საანგარიშო პერიოდში, კვლავ მაღალი იყო მოქალაქეთა მიმართვიანობა სახალხო დამცველის აპარატში — 2016 წელს აპარატში 8 827 განცხადება/საჩივარი შევიდა, რაც მაღალია. უჩა ნანუაშვილმა ყურადღება ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე გაამახვილა და სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობასა და გამოწვევებზე ისაუბრა. უჩა ნანუაშვილი ფარცხალაძე-თორდისა დაპირისპირებასაც შეეხო. მისი თქმით, შესაძლოა პარლამენტში შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია: „ვფიქრობ, გამოძიებას რამდენიმე დღე უნდა ვადროვოთ. მათგან უნდა მოვისმინოთ, რა მოხდა. შემდეგ, თუ გამოძიება გაჭინაურდა, შესაძლებელია პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნას. ჩვენ საკუთარი ინიციატივით დავინყებთ ამ საქმის შესწავლა. თავისთავად ის ფაქტი, რომ დაგვიანებით მოხდა ფარცხალაძის დაკითხვა ბევრ კითხვას აჩენს?“ სახალხო დამცველი ასევე მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში პროკურატურის მუშაობისადმი გაჩენილი კითხვის ნიშნები ლოგიკურია და ნათლად ჩანს საგამოძიებო ორგანოებში სისტემური პრობლემები: „კითხვებს სწორედ გამოძიების ეფექტურობის კუთხით ვსვამთ. ათეულობით საქმეა, სადაც წლობით, განელილი საქმეების ფონზე, შედეგი არ არის დამდგარი. განსაკუთრებით იმ საქმეებზე, რომელიც შეიძლება უფრო სენსიტიურად მივიჩნიოთ. ისევე როგორც თუნდაც, სამართალდამცავების მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიებაზე. ამ მიმართულებით სერიოზული ხარვეზებია და პროკურატურასთან მიმართებაში სისტემურ ხარვეზებზე ვსაუბრობ. ერთ-ერთი ე.წ. ციანიდის საქმეა, რომელიც ნათლად აჩვენებს, იმ სისტემურ პრობლემებს, რომელიც საგამოძიებო ორგანოებშია“.

ცხადია, უჩა ნანუაშვილი მალაროელების დაღუპვის ფაქტსაც გამოეხმაურა, პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დააკისრა და შრომის ინსპექციის ქმედითობის აუცილებლობაზე ისაუბრა. ანგარიშის წარდგენის შემდეგ სახალხო დამცველმა, დეპუტატების კითხვებს უპასუხა.



„ვერსიანიუსი“